ხელშეკრულება № 26/09

ქ.ონი 18 სექტემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტი (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ. ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით, ხოლო მეორეს მხრივ შ.პ.ს „მოედანი 2009" წარმომადგენლის ბაქარი ჯაფარიძის სახით (შემდგომში მიმწოდებელი) საქ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის დ) ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეასრულოს, საქართველოს მთავრობის 25/08/2015 წლის №1761 განკარგულების საფუძველზე, ქ.ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის ფორმირების და ნაპირდამცავის მოწყობის სამუშაოები (დანაყოფის კოდი – 45240000)

1.2. შემსყიდველი უნაზღაურებს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებას, ხელშეკრულების მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 მუხლის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფი, რომელიც შემსრულებლის წარმომადგენელთან ერთად ამოწმებს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს, მათ ხარისხს და პროექტთან შესაბამისობას, რის შესახებაც ადგენს აქტს.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით.

2.3 ხელშეკრულების მიმდინარეობაზე ზედამხედველობას გაუწევს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უფლებამოსილი პირი.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მოცემული ხარჯთაღრიცხვის და გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანა დაუშვებელია მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

3.3 ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი სამუშაოები შემსყიდველის მიერ არ ანაზღაურდება.

3.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულება უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 65 (სამოცდახუთი) დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.მიღება ჩაბარების აქტი გაფორმდება შემსყიდველის მიერ შექმნილი სპეციალური ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ შედგენილი და ხელმოწერილი აქტის საფუძველზე.

4.2 შესყიდვის ობიექტის შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი. (10 დღის ვადაში)

4.3 სამუშაოს დასრულების შემდგომ ორი წლის განმავლობაში მიმწოდებლის მიზეზით გამოვლენილ დეფექტებს შეაკეთებს ანაზღაურების გარეშე ან შეცვლის ახლით;

4.4 შესყიდვის ობიექტის საბოლოო მიღება-ჩაბარება მოხდება ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, რომლის ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი;

4.5 ექსპერტის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ. (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრეტიდაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი);

4.6 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და ანაზღაურებაზე;

5. ანგარიშსწორება

5.2 შუალედური და საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში.

6. ანგარიშსწორების ვალუტა

6.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში

7.ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება

7.1 ხელშეკრულების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 199968 (ასოთხმოცდაცხრამეტი ათას ცხრაასსამოცდარვა) ლარი

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა;

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

10.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების შესრულება, ამ მხარემ წერილობით უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე ვადაში უნდა აცნობოს თავისი გადაწყვეტილება მეორე მხარეს, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულების დამდები მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები;

11.2 სამუშაოს დაუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით

11.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებლის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ;

12.2 შემსყიდველი ვალდებულია აცნობოს მიმწოდებელს ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება და ამოქმედების თარიღი;

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

12.5 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ, მათ შორის შემდეგ შემთხვევებში:

ა) ხელშეკრულების გაფორმების დღიდან სამუშაოების დაწყების 10 (ათი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

ბ) მიმწოდებლის მიერ სამუშაოს დასრულების 20 (ოცი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადით გადაცილების შემთხვევაში;

გ)მიმწოდებლის მიერ ხარვეზების გამოსწორებაზე უარის თქმის ან არ გამოსწორების შემთხვევაში;

დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.6 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით;

12.7 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

13.ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების

შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

13.2 ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი

გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ , მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ისეთი

ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14.სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკების გზით მოაგვარონ უთანხმოება.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30(ოცდაათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას მაშინ მათ უფლება აქვთ დადგენილი წესის მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტენპრეტირებული იქნება საქართველოს კანონების მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1 ხელშეკრულება დაწერილია ქართულ ენაზე.

16. შეტყობინება

16.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2 შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1 მიწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 25 დეკემბრამდე.

რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი
გიორგი ლობჯანიძე

გიორგი ლობჯანიძე
ქ. ონი, დ.აღმაშენებლის მოედ.№1
ტელ.: 551 55 04 03
ს/კ 237978275
ანგ. № GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ.კ TRESGE22

მიმწოდებელი:
შ.პ.ს " მოედანი 2009"

ბაქარი ჯაფარიძე
ქ. ონი. ზურაბ ქაფიანიძის ქ. #104
ტელ.: 599 24 19 71
ს/კ 237978550
ანგ. № GE69LB0113146403805000
ს.ს. "ლიბერთი ბანკი"
ბ.კ:LBRT GE22

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ონი 18 სექტემბერი 2015 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ ონის მუნიციპალიტეტში ქ.ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის ფორმირების და ნაპირდამცავის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელი

გიორგი ლობჯანიძე

შ.პ.ს ,, მოედანი 2009"

ბაქარი ჯაფარიძე

შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა"

ქ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობა

II. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

მთავარი ინჟინერი — თ. აზანიშვილი

სარჯთაღრიცხვის
განყოფილების უფროსი — ლ. დანელია

თბილისი – 2015

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. განმარტებითი ბარათი
2. ნაკრები ხარჯთაღრიცხვის ანგარიში
3. ლოკალური ხარჯთაღრიცხვა №1 – ქ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობა

განმარტებითი ბარათი

ქ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობის სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა"ს მიერ, ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, 2015 წლის II კვარტლის ფასებში.

ხარჯთაღრიცხვა შედგენილია რესურსული მეთოდით: კაც/სთ ღირებულება აღებულია 4.6 ლარი, მასალებისა და სამშენებლო მანქანა-მექანიზმების მან/სთ ღირებულებები – 2015 წლის II კვარტლის მონაცემებით, მშენებლობის შემფასებლთა კავშირის სამშენებლო რესურსების ფასების კრებულის მიხედვით. მასალების ღირებულებაში გათვალისწინებულია ტრანსპორტირების ხარჯები.

ერთეული გაფასებები განსაზღვრულია 1984 წლის სნ და წ შესაბამისი ცხრილებით.

ზედნადები ხარჯები სამშენებლო სამუშაოებზე გათვალისწინებულია – 10%, სახარჯთაღრიცხვო მოგება – 8%.

დ.ღ.გ.-ს ჩათვლით ობიექტის მშენებლობის მთლიანი ღირებულება შეადგენს **199,968** ათას ლარს.

მთავარი ინჟინერი		თ. აზანიშვილი
ხარჯთაღრიცხვის განყოფილების უფროსი		ლ. დანელია

დამტკიცებულია:
კრებსითი სახარჯთაღრიცხვო ანგარიში ათ. ლარი
მათ შორის უკუშცევითი თანხა ათ. ლარი

კრებსითი სახარჯთაღრიცხვო ანგარიში

ქ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობა

შედგენილია 2015 წლის II კვარტლის ფასებში

№ პ/პ	ხარჯ-ების და გაანგ-ების №	თავების, ობიექტების, სამუშაოების და დანახარჯების დასახელება	რაოდენობა				ს უ ლ სახარჯთ. ღირებულება
			სამშენ. სამუშაოები	სამონტ. სამუშ.	მოწყობილობა, ავეჯი, ინვენტარი	სხვა ხარჯები	
1	2	3	4	5	6	7	8
1	1	ქ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობა	164,528				164,528
		სულ	**164,528**				164,528
2		გაუთვალისწინებელი ხარჯები 3%				4,936	4,936
		სულ	**164,528**			**4,936**	**169,464**
3		დღგ 18%				30,504	30,504
		სულ კრებსითი ხარჯთაღრიცხვის ანგარიშით	**164,528**			35,439	**199,968**

შ.პ.ს. „გ ზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა" -ს
მთ. ინჟინერი — თ. აზანიშვილი

ხარჯთაღრიცხვის განყოფილების უფროსი — ლ. დანელია

ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ღარში მდ. რიონის მარცხენა სანაპიროზე სკოლასთან ქვაყრილის მოწყობა

ხარჯთაღრიცხვა №1

სულ ღირებულება		
ლარი	დოლარი	კურსი
164,528.3		

№	სამუშაოების ჩამონათვალი	განზ.	რაოდ.	ერთ. ფასი	მთლიანი ფასი
	Works	**Dimen**	**Amount**	**Price per unit**	**Total price**
1	სამშენებლო ობიექტთან მისასვლელი გზის მოსაწყობად III კატ. გრუნტის დამუშავება ბულდოზერით 50მ-ზე გადაადგილებით	$მ^3$	500	1.44	720
2	მდ. რიონის გასწორხაზოვნება, ძველი მოწყობილი დამბის გადაადგილება და კალაპოტის დამუშავება მძლავრი ბულდოზერით 50მ-ზე გადაადგილებით	$მ^3$	16970	6.94	117772
3	მოწყობილი გრუნტის დამბის გამაგრება ქვაყრილის მოწყობით ქვის ლოდებით დ 1.0მ. (კრიტიკულ ადგილებში, კერძოდ: მდ. რიონის და მდ. ღარულას გადაკვეთის კალაპოტის მთელ სიგრძეზე)	$მ^3$	800.0	25.00	20000
	სულ	ლარი			138492
	ზედნადები ხარჯები	10%			13849
	სულ	ლარი			152341
	გეგმიური დაგროვება	8%			12187
	სულ	ლარი			**164528**

II. უწყისები

1.	მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობის სამუშაოთა მოცულობების უწყისი	13

მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობის სამუშაოთა მოცულობების უწყისი

ობიექტის დასახელება: ქ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან მდ. რიონის კალაპოტის ფორმირება – ნაპირდამცავის მოწყობა

№	სამუშაოს დასახელება	განზ.	რაოდ.	შენიშვნა
1	2	3	4	5
1	ობიექტზე მისასვლელი გზის მოწყობა III კატ. გრუნტის დამუშავება ბულდოზერით გადაადგილება 50მ-ზე	მ³	500	
2	მდ. რიონის გასწორხაზოვნება, ძველი მოწყობილი დამბის გადაადგილება და კალაპოტის დამუშავება მძლავრი ბულდოზერით 50მ-ზე გადაადგილებით	მ³	16970	
3	მოწყობილი გრუნტის დამბის გამაგრება ქვაყრილის მოწყობით ქვის ლოდებით d≥1.0მ. (კრიტიკულ ადგილებში, კერძოდ: მდ. რიონის და მდ. ღარულას გადაკვეთის კალაპოტის მთელ სიგრძეზე)	მ³	800	





კვეთი
პკ3+00



ქვის გამაგრების კვეთი





1:1.5

ძ. ონში ყოფილი პირველი სკოლის ტერიტორიასთან
მდ. რიონის კალაპოტის წმენდის და ნაპირსამაგრი
გაგრილების მოწყობა

გენერალური კვეთები	სტადია	ფურცელი	ფურცლები
	ს.დ.	3	3
	შპს "გზაკომუნპროექტი და ექსპერტიზა" 2015წ		